სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/32

ქ. თბილისი 7 ივლისი 2025

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება -„ინსპექტირების ორგანო ტექნოლოგიური ინტელექტის“ დაფუძნების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 26 ივნისის №01-05-04/114 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 7 ივლისის №01-06-02/07 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. სამშენებლო, საფინანსო, ჰიდრომექანიკური დანადგარების ტექნიკური მდგომარეობის, ენერგეტიკული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების დასკვნების, საინჟინრო ჰიდროგეოლოგიური პროექტების კონსტრუქციული დასკვნების, წყალმომარაგებისა და წყალანირების საექსპერტიზო საკონსტრუქტორო და საკონსულტაციო მომსახურეობის განხორციელების მიზნით, დაფუძნდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ინსპექტირების ორგანო ტექნოლოგიური ინტელექტი“;
2. მოწონებულ იქნეს შპს-ს დაფუძნებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და განხორციელდეს მისი რეგისტრაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**